ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 01-03-27

ქ. თბილისი 26 თებერვალი 2019 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ბერიკა შუკაკიძის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

მიმწოდებელი: შპს „კარგო ლოჯისთიქს გრუფ ჯორჯია", წარმოდგენილი მისი დირექტორის სულიკო ჩაჩავას სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, მედეა ჩახავას ქ N9;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205040882;
საბანკო რეკვიზიტები: სს „ტერაბანკი", ბანკის კოდი: TEBAGE22, ა/ა: GE30KS0000000000410587.

ერთი მხრივ შემსყიდველი და მეორე მხრივ მიმწოდებელი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (სატენდერო განცხადების ნომერი N-NAT190002766) გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.

1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადაცემული მასალის („მასწავლებლის წიგნი" და ჟურნალი „მასწავლებელი") შეფუთვის და საქართველოს ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის მიწოდების მომსახურების (CPV 64120000 - საკურიერო მომსახურებები) შესყიდვა დანართი N 1 -ის შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. შესასყიდი მომსახურების ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 9657 (ცხრაათას ექვსას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, მათ შორის ჟურნალი მასწავლებელის და „მასწავლებლის წიგნი"-ს ერთჯერადი დისტრიბუციის ფასი შეადგენს 1073.00 (ერთი ათას სამოცდაცამეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.4. **დაფინანსების წყარო:** სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებები.

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო;

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქართველოს ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაფასოებული ამანათები („მასწავლებლის წიგნი" და „ჟურნალი მასწავლებელი"), სკოლების შესაბამისი რაოდენობის მიხედვით. (რესურსცენტრში შემავალი სკოლების რაოდენობა მოცემულია დანართი N 1-ში);

4.3 მიმწოდებელმა რესურსცენტრებს დასარიგებელი მასალა უნდა გადასცეს დაზიანების გარეშე;

4.4 რესურსცენტრისთვის გადასაცემი ამანათის წონა: ერთი ცალი ჟურნალი „მასწავლებელი"-ს წონა შეადგენს 0,193 კგ-ს, ხოლო ერთი ცალი „მასწავლებლის წიგნი"-ს წონა შეადგენს 0, 350 კგ-ს.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, გასაგზავნი მასალის გადაცემიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ჟურნალი „მასწავლებელი"-ს და „მასწავლებლის წიგნი"-ს დისტრიბუცია უნდა განხორციელდეს საქართველოს მაშტაბით ყველა რესურსცენტრში.

5.3 გასაგზავნი მასალის გადაცემის ადგილი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. N 4;

5.4 დეკემბრის თვეში დისტრიბუცია უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2018 წლის 20 დეკემბრისა.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;

6.3 რესურსცენტრსა და დისტრიბუტორს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან 1 (ერთი) ეგზემპლარი (ორიგინალი) უნდა დაუბრუნდეს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს;

6.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო - საგანმანათლებლო რესურსების პროგრამის მენეჯერს ნატალია ინგოროყვას, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება;

8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;

8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების აქტი.

8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფაქტიურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია, და მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2 მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % -ის ოდენობით;

9.2. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, „მხარემ" შესაძლებელია მოსთხოვოს მეორე „მხარეს" პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით, გარდა 9.1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს,მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის თანამშრომელი, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი.

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში ცალმხრივად იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების

ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან. ამასთან, ასეთი გარემოების არსებობის შესახებ, რომელიც ზეგავლენას ახდენს მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების შესაძლებლობაზე, ინფორმაცია შემსყიდველს შეუძლია მიიღოს მიმწოდებლის ვებ-გვერდზე : georgianpost.ge

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2020 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას, რაც ეწინააღმდეგება ხეშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

16.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.8 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, მხარეების მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა ან შტამპი;

16.9 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული	მპს „კარგო ლოჯისთიქს გრუფ ჯორჯია"
განვითარების ეროვნული ცენტრი	
---	---
ბერიკა შუკაკიძე	**სულიკო ჩაჩავა**
დირექტორი	დირექტორი

დანართი N1

რაიონი	მისამართი	რაოდენობა
თბილისი		
ვაკე-საბურთალო	თბილისი, იოსებიძის ქ. №50	31+1 რესურსცენტრის პაკეტი
ძველი თბილისი	თბილისი, კიევის ქ. №4"	36 +1 რესურსცენტრის პაკეტი
ისანი-სამგორი	თბილისი, ვარკეთილის მე-4 მ/რ, II რიგი	48+ 1რესურსცენტრის პაკეტი
დიდუბე-ჩუღურეთი	თბილისი, მირცხულავას ქ. №4	13+1 რესურსცენტრის პაკეტი
გლდანი-ნაძალადევი	თბილისი, ც. დადიანის ქ. №28	48+1 რესურსცენტრის პაკეტი
სამეგრელო ზემო სვანეთი		
აბაშა	აბაშა, კაჭარავას ქ.№1	23 +1 რესურსცენტრის პაკეტი
ზუგდიდი	ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას ქ. №35	51 +1 რესურსცენტრის პაკეტი
მარტვილი	მარტვილი, თავისუფლების ქ. №10	37 + 1რესურსცენტრის პაკეტი
სენაკი	სენაკი, ცოტნე დადიანის ქ. №7	20 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ფოთი	ფოთი, გორგასლის ქ.№37	11 +1 რესურსცენტრის პაკეტი
ჩხოროწყუ	ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქ.№14	19 + 1რესურსცენტრის პაკეტი
წალენჯიხა	წალენჯიხა, სალის ქ.№3	30 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ხობი	ხობი, ცოტნე დადიანის ქ.№185	26 + 1რესურსცენტრის პაკეტი
მესტია	მესტია, თამერ მეფის ქ.№10	24 + 1რესურსცენტრის პაკეტი
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი		
ამბროლაური	ამბროლაური, კობახიძის ქ.№7	22 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ონი	ონი, აღმაშენებლის ქ.№46	9 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ცაგერი	ცაგერი, რუსთაველის ქ.№ 59	25 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ლენტეხი	ლენტეხი, თამარ მეფის №31	11 + 1რესურსცენტრის პაკეტი
გურია		
ოზურგეთი	ოზურგეთი, დოლიძის ქ. №1	42 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ჩოხატაური	ჩოხატაური, წერეთლის №2	31 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ლანჩხუთი	ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ.№76	24 + 1რესურსცენტრის პაკეტი
სამცხე-ჯავახეთი		
ადიგენი	ადიგენი, არტენ ბალახაშვილის ქ.№27	25 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ასპინძა	ასპინძა, რუსთაველის ქ.№7	18 +1 რესურსცენტრის პაკეტი
ახალქალაქი	ახალქალაქი, მაშტოცის №33	65 + 1რესურსცენტრის პაკეტი

ახალციხე	ახალციხე, კეცხოველის ქ.№6	38 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ბორჯომი	ბორჯომი, მესხეთის ქ. №5	20 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ნინოწმინდა	ნინოწმინდა, ჰოვსეპიანის ქ.№16	38 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ქვემო ქართლი		
რუსთავი	რუსთავი, პ.მელიქიშვილის ქ. №7	26 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ბოლნისი	ბოლნისი, აღმაშენებლის ქ.№68	32 +1 რესურსცენტრის პაკეტი
გარდაბანი	გარდაბანი, აღმაშენებლის №5ა	35 +1 რესურსცენტრის პაკეტი
დმანისი	დამანისი, წმინდა ნინოს ქ.№41	27 + 1რესურსცენტრის პაკეტი
თეთრიწყარო	თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ.№4	28 +1 რესურსცენტრის პაკეტი
მარნეული	მარნეული, რუსთაველის ქ.№69	74 + 1რესურსცენტრის პაკეტი
წალკა	წალკა, რუსთაველის ქ.№68	31 + 1რესურსცენტრის პაკეტი
შიდა ქართლი		
გორი	გორი, სტალინის ქ.№31	67 + 1რესურსცენტრის პაკეტი
კასპი	კასპი, სააკაძის ქ.№68	29 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ქარელი	ქარელი, თამარ მეფის ქ.№24	35 +1 რესურსცენტრის პაკეტი
ხაშური	ხაშური, ტაბიძის ქ.2	32 + 1რესურსცენტრის პაკეტი
მცხეთა-მთიანეთი		
მცხეთა	მცხეთა, აღმაშენებლის ქ.№73	28 + 1რესურსცენტრის პაკეტი
დუშეთი	დუშეთი, სტალინის ქ.№27	38 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ყაზბეგი	ყაზბეგი, ალექსანდრე ყაზბეგის ქ.№52	7 + 1რესურსცენტრის პაკეტი
თიანეთი	თიანეთი, სანიკიძის ქ.№2	13 + 1რესურსცენტრის პაკეტი
იმერეთი		
ქუთაისი	ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქ.№21	39 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ჭიათურა	ჭიათურა, ტოლსტოის ქ.№1	43 + 1რესურსცენტრის პაკეტი
წყალტუბო	წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25	40 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ტყიბული	ტყიბული, კარლო ლომაძის მოედანი №3	24 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ბაღდათი	ბაღდათი, წერეთლის ქ.№9	21 +1 რესურსცენტრის პაკეტი
ვანი	ვანი, თავისუფლების ქ.№65	30 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ზესტაფონი	ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ.№61	33 + 1რესურსცენტრის პაკეტი
თერჯოლა	თერჯოლა, ჭანტურიძის ქ.№7	24 + 1რესურსცენტრის პაკეტი
სამტრედია	სამტრედია, რესპუბლიკის ქ.№6	35 +1 რესურსცენტრის პაკეტი
საჩხერე	საჩხერე, თავისუფლების ქ.№4	32 + 1რესურსცენტრის პაკეტი

ხარაგაული	ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15	25 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ხონი	ხონი, კაკაბაძის №15	25 +1 რესურსცენტრის პაკეტი
კახეთი		
ახმეტა	ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ.№49	23 + 1რესურსცენტრის პაკეტი
გურჯაანი	გურჯაანი, რუსთაველის ქ.№4ა	25 + 1რესურსცენტრის პაკეტი
დედოფლისწყარო	დედოფლისწყარო, ცხრა ძმის ქ. №14	15 +1 რესურსცენტრის პაკეტი
თელავი	თელავი, ერეკლე მეორეს გამზირი №16	27 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ლაგოდეხი	ლაგოდეხი, ზაქათლის ქ.№44	28 + 1რესურსცენტრის პაკეტი
საგარეჯო	საგარეჯო, აღმაშენებლის ქ.№15	26 + 1რესურსცენტრის პაკეტი
სიღნაღი	სიღნაღი, აღმაშენებლის მოედანი №2	20 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ყვარელი	ყვარელი, კუდიგორის ქ.№1	21 +1 რესურსცენტრის პაკეტი
აჭარა		
ბათუმი	ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ.№4	27 +1 რესურსცენტრის პაკეტი
ქობულეთი	ქობულეთი, აღმაშენებლის ქ.№99	46 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ხულო	ხულო, ტბელ აბუსერიძის ქ.№5	49 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ხელვაჩაური	ხელვაჩაური, დიდაჭარის ქ.№23	35 + 1რესურსცენტრის პაკეტი
შუახევი	შუახევი, რუსთაველის ქ.№21	43 + 1რესურსცენტრის პაკეტი
ქედა	ქედა, კოსტავას ქ.№3	29 +1 რესურსცენტრის პაკეტი
აფხაზეთი		
აფხაზეთი	თბილისი, უზნაძის ქ. №68	13 +1 რესურსცენტრის პაკეტი

მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"
სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

ზერიკა შუკვაიძე
დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „კარგო ლოჯისთიქს გრუფ ჯორჯია"

სულიკო ჩაჩავა
დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (შპს „კარგო ლოგისტიკს გრუფ ჯორჯია" არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორი _____ /ზერიკა მუკაკიძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ცენტრის საინფორმაციო - საგანმანათლებლო, რესურსების პროგრამის

მენეჯერი _____ /ნატალია ინგოროყვა/

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორის მოადგილე _____ /დავით ხვედელიძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის ფუნქციების

დროებით შემსრულებელი _____ /ირმა თირქია/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების

ჯგუფის უფროსი _____ /ნიკო გიგოლაშვილი/

შემსრულებელი

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების

მენეჯერი _____ /ზურაბი ხუციურიანი/